

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №13/ნ

2012 წლის 25 იანვარი

ქ. თბილისი

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივი სისწორის შემოწმების საფასური.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშვინი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივი სისწორის შემოწმების საფასური

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

მუხლი 1. საფასურის ოდენობა

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივი სისწორის შემოწმების საფასური შეადგენს 20 ლარს, ხოლო 1 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული წარმოებისათვის – 40 ლარს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

მუხლი 2. საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) ანგარიშსწორების ანგარიშზე შეტანის გზით.

2. ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ განცხადების რეგისტრაციამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ცენტრის მიზეზით.

3. თუ დაინტერესებული პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მიიღებს მომსახურებას მის მიერ გადახდილი საფასურის შესაბამის ვადაში და სურვილი აქვს, ისარგებლოს სხვა ვადით, რომლისთვისაც დადგენილია ნაკლები საფასური, მაშინ დაინტერესებულ პირს უბრუნდება სხვაობა ამ ორ საფასურს შორის.

4. თუ საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ კანონით დადგენილ განაკვეთს შორის.

5. ამ მუხლით დადგენილი წესით საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

მუხლი 3. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე შეტანილი ჰქონდა განცხადება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმების შესახებ.